მოსკოვის "სპარტაკისა" და თბილისის "დინამოს" ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრა

15 ოქტომბერს მოსკოვის "დინამოს" სტადიონზე მოეწყო "სსრ კავშირის თასზე" პირველი ნახევრადფინალური შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვის "სპარტაკისა" და თბილისის "დინამოს" გუნდები.

ამ უძველესი გუნდების შეჯიბრება ყოველთვის იზიდავს ფეხბურთის ათეულ ათასობით მოყვარულს. მაგრამ ამ შეხვედრამ მოლოდინი არ გაამართლა. თამაში ნაკლებშინაარსიანი იყო, ამასთანავე მოთამაშენი უხეშობას იჩენდნენ. ერთადერთი ბურთი, რომელმაც თამაშის შედეგი გადასწყვიტა, თბილისელთა კარში 11 მეტრიდან დარტყმით იქა გატანილი მოსკოველების მიერ.

შეხვედრა მოიგო "სპარტაკმა" ანგარიშით 1:0, და იგი ფინალში გავიდა.

დინამოელებმა, რომლებმაც მსაჯის ამხ. მორგუნოვის მოქმედება უმართებულოდ ჩათვალეს, მატჩიც გაასაჩივრეს (საკდესი).

კომუნისტი 17 ოქტომბერი 1948 წ.